

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

თურქული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის მოდელი

1984 წელს გამომცემლობა „მეცნიერება“ დასტამბა მარინე ჭიქიას „თურქული ენის სიტყვაფორმათა სტრუქტურა“ (რედაქტორი თამაზ გამყრელიძე). ავტორი მიზნად ისახავს აფიქსურ მიმდევრობათა რანგირების დონეზე, უკეთ, მორფემათა რანგობრივი სტრუქტურის დადგენის გზით შექმნას სალიტერატურო თურქული ენის მორფოლოგიური მოდელი.

ენათა სტრუქტურული მოდელების დადგენა თანამედროვე ენათმეცნიერების აქტუალური თემაა. როგორც ცნობილია, გრამატიკული მოდელის ასაგებად საჭიროა გრამატიკული ელემენტების განაწილების დადგენა და მათი ურთიერთმიმართებების აღნუსხვა. საამისოდ თურქული ენები რელიეფურ მასალას იძლევა. მათში მორფემათა მკაცრად განსაზღვრული, წრფივი მიმდევრობა ქმნის სწორ გრამატიკულ ფორმებს. ამიტომაც სიტყვათა აგებულების პრობლემებით დაინტერესებული სპეციალისტები თეორიული პრინციპებისა თუ რანგობრივი მეთოდის შესამუშავებლად ითვალისწინებენ, ან საგანგებოდ ანალიზებენ თურქული ჯგუფის ენების მონაცემებს. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მ. ჭიქიას შრომა არის თურქული გრამატიკის ფორმალისტიკის ჭეშმარიტად წარმატებული ცდა.

წიგნი შედგება შვიდი თავისაგან, უძღვის შესავალი, ერთვის ბოლოსიტყვაობა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალში განსაზღვრულია ნაშრომის ძირითადი მიზანი. პირველ თავში მოცემულია რანგობრივი გრამატიკის მეთოდის შენუშავების ისტორია. წარმოჩენილია გ. ვლისონის როლი აფიქსთა რიგის დადგენის თეორიული განზოგადების საქმეში; გამოწვლილვითაა შესწავლილი და კრიტიკულად შეფასებული როგორც საბჭოთა. ისე უცხოელი ავტორების ყველა ის შრომა, რომელშიც საუბარია მორფემათა განაწილების კანონზომიერებაზე. აქ ავტორს შეაქვს მნიშვნელოვანი კორექტივები, ხოლო კამათი აკადემიური და სასიამოვნოდ თავაზიანია.

მეორე თავში განხილულია რანგობრივი ანალიზის მეთოდთან დაკავშირებული თეორიული საკითხები, აღწერილია რანგების გრამატიკის წარმომშობი მექანიზმი. იგი განსაზღვრულია, როგორც წარმომშობი გრამატიკის ვარიანტი; განპარტებულია სათანადო ცნებები, მისაღიებულია სიმრავლეთა თეორია.

რანგობრივი გრამატიკა წარმოდგენილია ორი კომპონენტისაგან შედგენილი მოდელის სახით — საწყის ელემენტთა ქვესიმრავლებად დაყოფილი სასრული სიმრავლე და მათგან სწორ სასრულ მიმდევრობათა წარმომშობი წესები. მოცემულია რანგობრივი გრამატიკის მოდელის სიმარტივის ზომისა და სისრულის ხარისხის გამოსათვლელი ფორმულები.

ავტორისათვის, ბუნებრივია, რანგირებისას ამოსავალია აფიქსთა სეგმენტაცია, მათი სინტაქსური და პარადიგმატული მიმართებები. აღიარებული თეზა იმის შესახებ, რომ აფიქსურ მიმდევრობათა სტრუქტურული ტიპებით მოდელირდება მეტყველების ნაწილები, რადგან მეტყველების ყველა ფორმაცვალეზად ნაწილს თავისი მორფემა აქვს. თურქული ენის მიმართ არ ვრცელდება. რიცხვის, კუთვნილებისა და ბრუნვის აფიქსები ერთეულ რიგობრივ არსებობ. ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელებს, ისე მიმდევრობებს. მასობრს, ზმნიზღდას და ნაწილაკებს. ერთი -*lar*² აფიქსი აწარმოებს მრ. რიცხვის ფორმას სახელებსა და ზმნიზღებში. ამიტომ სტრუქტურულ ტიპებში აფიქსთა ჯაჭვი კონსტატირებულია არა მეტყველების ნაწილთა შესაბამისად, არამედ ძირითადი მორფემული მიმდევრობის მიხედვით.

ავტორის კვლევის ობიექტია ყოველგვარი მორფემული ჯაჭვი. მის დასადგენ კრიტერიუმად აღებული აქვს სინტაქსური, ე. ი. ისეთი ფაქტორი, რომელიც თანაბრად მოქმედებს დონოლოგიურ და მორფოლოგიურ დონეზე.

მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე თავებში განხილულია სახელის ზმნიზღებელი ფორმების, შედგენილი შემსმენლისა და ნაზმნარი სახელის რანგობრივი სტრუქტურა. ავტორი ფიქსირებული მორფემათა რანგობრივი განაწილების საფუძველზე გამოყოფს მიმდევრობათა ორ

ძირითად და ორ კონსტრუირებულ სტრუქტურულ ტიპს. I ტიპში ერთდროულად ფუნქციონირებს რიცხვის, კუთვნილებისა და ბრუნვის კატეგორიები. მოცემულია I სტრუქტურული ტიპის წარმომშობი ტაბულა, მორფოლოგიური და მორფონოლოგიური წესებით. ამგვარად დორმულირებულია მორფემების როგორც ფუძესთან, ისე ერთერთთან მიერთების ყველა პროცესი, გათვალისწინებულია ფონეტიკური და ორთოგრაფიული წესები. თურქულში სახელას რანგირების ასეთი სრული ოპერაცია ჩატარებულია პირველად ჩვენი ავტორის მიერ. მეორე სტრუქტურულ ტიპად განოყოფილია ზმნის პირიელი ფორმები, სადაც ფუნქციონირებს დროის, კილოს, უარყოფის, შესაძლებლობა-შეუძლებლობის, კაუზაციის, კითხვის, მიდაღობის, პირისა და რიცხვის მორფემები. აქვე შემოდის დეოკლაციული მორფემებიც. კერძოდ გვარის — ვნებითი, უკუქცევითი, საურთიერთო და კაუზაციის მაწარმოებელი აფიქსები. მ. ჯიქია ითვალისწინებს თურქული ზმნური ფორმების დღემდე არსებული აღწერების ყველა ნაკლს და შესამჩნევად ხვეწს მას; მართებულად უარყოფს ნულოვან ქვერანგებს, რაც მხოლოდ ტვირთავს სისტემას.

თურქული ენა გამოირჩევა აგლუტინაციური ენებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული გამკვირვებლობით, აფიქსთა დალაგების მაღალი ხარისხით და მაინც ზოგაერთი მიმდევრობის წარმომშობისას საკმარისი არ აღმოჩნდა რანგების გრამატიკა. ასეთი შემთხვევისათვის ავტორს შემოაქვს დამატებითი ტაბულა, რამაც გააადვილა მორფემული ჯაჭვების მოდელირება.

ნაშრომის მომდევნო თავებში განხილულია I და II ძირითადი ტიპებიდან კონსტრუირებული III და IV ტიპები. აქ ძალაში რჩება ყველა ის მორფოლოგიური და მორფონოლოგიური შეზღუდვა, რომელიც ძირითად სტრუქტურულ ტიპებს ახასიათებდა. III ტიპი შედგენილი შემასმენლის მოდელია, კერძოდ -imek დამხმარე ზმნის შემცველი მიმდევრობებია. სინტაქსური ერთეული მორფოლოგიური ანალიზის ობიექტად აქცია შედგენილი შემასმენლის უნარმა — გადმოიცეს ერთი მორფემული ჯაჭვით. IV ტიპს შეესაბამება ნაზმნარი სახელეების რანგობრივი სტრუქტურები. ეს არის მიმდევრობისა და მასდარის აფიქსთა შემცველი მიმდევრობები. კუთვნილებითი აფიქსის დართვა-დაურთველობით გამოყოფილია ორი ქვეტიპი.

ამგვარად რანგების გრამატიკა რთული მორფემული სტრუქტურის თურქული სიტყვებისათვის, მრავალრიცხოვან მორფემათა დალაგების მაღალი ხარისხის გამო ეკონომიური და ეფექტური საშუალება გამოდგა. ავტორმა მიმდევრობაში აფიქსთა მკაცრად განსაზღვრული რანგის დადგენით შექმნა თურქული სახელის, ზმნის, შედგენილი შემასმენლისა და ნაზმნარი სახელის მორფოლოგიური სტრუქტურის მოდელი. მასში წარმოდგენილია თეორიულად მართებული 9-10-11 აფიქსიანი მიმდევრობანი, ამასთანავე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ცოცხალ მეტყველებაში მორფემათა მიმოხრა 7-ს არ აღემატება მესხიერების შეზღუდულობის გამო. მ. ჯიქიას დაყვირებით უფრო გრძელ მიმდევრობიან სიტყვებს ხელოვნურობის იერი დაჰყრავს, მაგრამ, რადგანაც მოდელი სწორია, თეორიულად ასეთი ფორმების არსებობა დასაშვებია და ენის მატარებლისათვის გასაგები უნდა იყოს.

მ. ჯიქია აუმჯობესებს თურქული მორფოლოგიის დღემდე არსებულ აღწერას. მას გარკვეული წვლილი შეაქვს თურქულ ენათა ტიპოლოგიური შესწავლის პრინციპების შემუშავებაშიც. მისი დამსახურებაა მორფოლოგიური მინიმუმის განსაზღვრა: სახელთან-ბრუნვა და რიცხვი. ზმნასთან — პირი და დრო, და დამატებითი ტაბულების შექმნა. ასეთი სრულყოფილი მოდელი მოხერხებული სახელმძღვანელო იქნება ენის სწავლებისას. ვიმეჯღონებთ, რომ ჩვენი ავტორი ასეთივე წარმატებით შეძლებს დერივაციული პროცესების მოდელირებასაც.

სავსებით ბუნებრივია, რომ მ. ჯიქიას წიგნი გამოქვეყნდა რუსულ ენაზე. საბჭოთა კავშირში თურქული აკადემიის ენებში შემავალი 25 ენაა, რომელზედაც 32 მილ. 400 000 კაცი მეტყველებს, და ამ ენათა ტიპოლოგიური შესწავლის საქმეში სარეცენზიო წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის დასტურია ის ინტერესი, რომელიც ადრე მან საბჭოეთის თურქულენოვან რესპუბლიკებსა, მოსკოვის, ლენინგრადისა და უცხოეთის ორიენტალისტურ ცენტრებში. სამწუხაროდ, ამ ინტერესს ვერ გაუძლო წიგნის ტირაჟმა (500 ც.); იგი ერთ კვირაში გაიყიდა.

ციხანა აბულაძე

1 დაიბეჭდა რამდენიმე რეცენზია. მათ შორის: M. S. Dzikija, The Structure of Word-forms in the Turkish Language. Reviewed by Ludek Hzebiček, Archiv Orientalni. Praha, 4 vol. 53, 1985. გვ. 388—389; A. З. Абдуллаев, В. Я. Пинес, Новый подход к описанию турецкого языка. — Известия АН Азербайджанской ССР, серия литературы, языка и искусства, Баку, 1986, № 2, გვ. 144—146.